



სამშენიერო და სალიტერატურო ნახატიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 31.

ივლისის 25, 1893 წ.

№ 31.

შინადა:—გამოცანა კორთახსი.—მგზავრის შენიშენები ზაკო უჩარდასი.—ბაგრატ III იმერეთისა, თუ ბაგრატ V დიდი გ. წერეთლისა.—ბატონიშვილი ეკატერინე (ისტორიული ამბავი) თოფი. ხუსკივიძისა.—ქრისტეფორე კოლუმბი რ. ჯაჯანაშვილისა.—ყვავი და ბულბული, ლექსი კ. გოგვიძისა.—სომხების პარტიები დ. ტერ-დავითიანისა.—განცხადებანი.

გ ა მ ო ც ა ნ ა

ქადაკარი ძლიერია,
აღარ იცის დრო და ჟამი;
შეესა თეთრად გამოაჩენს,
სახელია მისი ...

ყველგან კარებს ის გავილებს,
მალი არის, ეთაა წამი;
ნურა ვისი გეშინია,
თუ წინ მივიძღვება ...

პატიესა სცემს იმას ბერი:
პატარა და დიდი გვამი;
მხიარულობს სეკრეტარი,
როცა მობრძანდება ...

ხმალზე უფრო იგი გასჭრის,
ორ-ჟოფი აქვს მას საღამი;
სულით მაღალს ვერ იმანებს,
სულით დაბალს უყვარს ...

ჩენში ერთობ განვითარდა,
აღარ არის იგი ხამი.
უნამუსომ შეიყვარა,
პატიოსანს კი სძულს ...

მამ დავსწყველოთ მისი მომხრე,
ეთ ნოვმა შვილი ქამი.
მიეაფურთხოთ ყველამ იმას,
ენც რომ შეიყვაროს ...

1893 წ.

კორტოზა.

მეზაფრის შენიშვნები

მანგლისი — 7 ივლისი. მანგლისი მსგავსად კოჯ-რისა სააგარაკო ადგილია თბილისის მახრამში. მანგლისი ჭმორავს ტფილისის 62-ს ვერსტის მანძილით და მდებარებს დასავლეთით, ან უკეთა ვთქვათ, სამხრეთ-დასავლეთით ტფილისიდან.

მრავალი ხალხი ეტანება ზაფხულობით ამ მდებარეობით და ჰაერის სიმთელთ შესანიშნავ ადგილს. მიმოსვლა თფილისიდან მანგლისამდე ხერხდება დელიტრებით და დროგებით, — უკანასკნელთ იზოვის მსურველი ქალაქის იმ ნაწილში, რომელსაც „პესკას“ ეძახიან და შედარებით იაფადაც: წასვლა თითოეულის კაცისა დროგით ჯდება მანეთ ნახევ-

რამდე; ფაქტორი კი ყოველგან იშვებდა და ფასი დამოკლებულია გარიგებაზე, მხოლოდ იშვითად, რომ თექვსმეტ მანეთზე ნაკლებ წავიდეს; დელეგირის ბილეთები იყიდებიან ერენის ქუჩაზე პატარა „ბულაჩ-ნაიაში“ სამოქალაქო სამკოს პირდაპირ. ბილეთი ჰღირს სამ მანეთ ნახევარს; დელეგირი ვაღის კვირაში სამჯერ — სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, — ბრუნდებდა უკან მანგლისადნა ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას. წყამსვლელი ყიდულობს ბილეთს წინა დღით, რადგანაც დელეგირში ცოტა ალაგია, — მეორე დილას შვიდ საათზე მიდის იქ, სადაც ბილეთი იყიდა, ჯდება დელეგირში და მიჰქრის მანგლისისაკენ... გამოაყოლო, ძვირფასო მკითხველო, შენი ყურადღება: — მე მივიღივარ მანგლისში, ავიდივარ სოლოლაკზე და რასა ვხედავ? — მიიღო თბილისი ჩემ წინ დავიფრინებ. — დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის შევინიერება და სიდიდე მხოლოდ იმას უნახავს, ვინც ფრინველები აფრინილან და სოლოლაკით ვაღმოუხედავს საქართველოს სატახტო ქალაქისათვის! — გზა მიხვეულ-მოხვეულათ არის გაყვანილი და კოჯრამილი ისეთი აღმართებია, რომ ექსენს ცხენი უბნია „რომნიზუს“. კოჯრის იქით კი ტყეებსაც დიდ ფეხქანსაც გამოცლიან ხოლმე და ექსენს მაგივრად ოთხს ცხენს უხმენ, რადგან ისეთი აღმართები არ არიან. შემდეგ ტფილისიდან გასულს ჰეტის-მეტად მოგწონს კოჯრის მიდამო მთლად მანგლისამდე. ხეტყე, მდგლო სათიბები ღალხათიანად ამკობენ სერგებს რომლებს შუა მიიკლანება ევ დაჩრდილო-ლო და დადღარქნილი გზა; მაგრამ ვინც იმერეთში ყოფილა, დაქეთანხმება, რომ ბუნება ქუთაისის გუბერნიაში მაინც ვაშორებით მდიდარია ტყე-მინდვრების მწვენიო. დილით გასული ტფილისიდან ნაშუადღის ოთხ საათზე მანგლის მივიდით. დღევანდელ ჩერდელ ფოსტის კონტორის წინ, სადაც გზაზე რები ჩამოხტებიან და თავიანთ ბინისაკენ ვასწევნულნობს, ან ბარგის მქონებელს სალდათი გაჰყევა რამდენიმე კაგიკად.

დაეთადლიერით ახლა მანგლისი. იგი ორ ნაწილად დაყოფილია — ძველი და ახალი. ძველ მანგლისში შესანიშნავია ლეისმშობლის ძველი ეკლესია, აწმებული 1012 წ., რომლის გვერდით ახალი შენობა სამრევლო სკოლისათვის. მცხოვრებნი მომეტებულად რუსები არიან. ძველს მანგლისს კარგი წყაროს წყალი აქვს. ახალი მანგლისი ლეი-გვარდიის ერენის პოლკის სახანაკო ადგილია. აი, ცოტად თუ ბევრად შესანიშნავი ადგილები ახალ მანგლისში: „პარკი“, რომელიც სალამოლბოთი სასევა, „ოფიცერ-ოფიცერების“ და სახაფხულოდ მოსულ მცხოვრებლებით. მუზეკა გრავინავს. პოლკს 29 იენისს ჰქონდა ოთხილგი 250 წლის

არსებობისა; კლუბი, რომელიც თავისი სილამაზით სატახტო ქალაქების კლუბებს არ ჩამოუვარდება; „სოსნოიაია როშა“ ფიქნარი მართლად შესანიშნავია არა მარტო მანგლისში, მთელ საქართველოშიაც. რუსულ გემოვნობაზე ავეებული პატარ-პატარა სახლები და მათში სუფთად მოაქმულები მდგმურნი ორივე სქესისანი. წყალი კი არა აქვს ამ საქმე-ბურს ადგილს, რომელიც აქტიკებს, რომ აქ პირველ ყოვლია გამართული რუსის ჯარის ბანაკი, რომელსაც მხედველობაში ჰქონია უფრო სამხედრო საქორგება, ვიდრე მოსახლობა და გამორჩეული ადგილ მდებარეობა.

შუადღისას, როცა სხვა ალაგებში ოც დათერამეტს გრადუსს აცილებდა სიცხე, იქ მანგლისში გრილა და „ფიქნარში“ თითქმის კიდეც ცივა. — ამ ბედნიერ ადგილის პატრონთა, ან მდგმურთა ცხოვრება უზრუნველუდარდელია მზიარულ-გაჰტაკებელია. ყურნალ-გაზეთების კითხვა ნაკლებია; მაგივრად „შეწამება“ და „ქორები“ აუჯრებელია რომელიმე რუსული გაზეთი მაინც თითოეულს ოჯახს მისდის და ქართული... ჩვენდა სამწუხაროდ, არც ერთს „ოფიცრის“ ოჯახს. მიზეზი? — უმიზეზობა. მთელ პოლკში თერამეტი ქართველი ოფიცერი — კაპიტანი, შტაბს-კაპიტანი, პარუზიკი და მის ქვეითი: უმეტესობა ცოლშვილიანი. — შედიხარ ქართველთან და ქართულის ჰქაჰნიც არ არის, მხოლოდ ერთად-ერთი ცეზმელიარი გაზეთის „კვლისა“ მისდის აკიზის მოხელის. მე ვიყავი რამდენიმე პოლშულ აფიცრების ოჯახებში; იმათ კი ვაჰაკიერებს: ორი-სამი თავის ქვეყნის გაზეთი არ ეწყობს სტოლზედ არ შეიძლება. ამა-სთანავე შინაურობაში პოლშურს გარდა სხვა ენას ვერ გაიკანებ. შევადართო ამათ მიმართულებასან ჩემი წყალ-წლებული აფიცრების საქციელი. ისინი სამშობლო ენაზე ლაპარაკს კიდეც თავილობენ. რა მომავალი უნდა მოელოდეს იმ ხალხს, საცა მისი მხედრობა ასე გადარჯულებულია.

რაც მანგლისშია, გვევ იქნება ყველა ჩვენს პოლკებში. მერე ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს? სა მხედრო სახსახური განა უყოლებას აძლევს ვისმე სამშობლო დაივიწყოს? პირიქით მეომარი ხალხი, სამშობლოსი და ტახტის მცველი, უფრო დიდ დიდებულთა ეროვნობა დაიცავს!

ქართული გაზეთი თუ არ მომდის, განა ქართველი არა ვარო? იკითხოს ვგებ ვინმე. მას ეუბასუხებ პოეტის სიტყვებით „რა ენა წახდეს; ვრიც დაეცეს...“

ქართველი აფიცრის შვილი რომ ქართულად ვერ ლაპარაკობდეს, ცოდვია, ბატონებო, სინდისის წინ მოუნანებელი და შეწუდებელი!

ხაკი უჩარდია

ბერძნულ III იმერეთისა, თუ ბერძნულ V დღისა

გელათის ვედრებისა ღვთისმშობლის ხატზედ დახატული *)

წანამდის მეცნიერულად შეუღლებოდნენ იმის განხილვას, ვედრებისა ღვთისმშობლის ხატზედ რომელი ბაგრატი დახატული, საქირია პოიხსენოთ უწინდელი მკვლევარების აზრი ამ ხატის შესახებ.

აი, რას ამბობს ბროსეც ამ ხატზედ: „შეუძღვებელია გამოვიცნო, რომელი ბაგრატი აქ დახატული“. (voyage arch. 3 livr. 11 rapp., p. 23).

ბროსე ამყარებს ხოლმე თავის აზრს სხვა-და-სხვა წერილობითს საბუთზე. რადგან ამ ხატის შესახებ მას არავითარი წერილობითი საბუთი არ ჰქონია, ამისთვის ვერც ამბობს, რომელი ბაგრატი უნდა ყოფილიყო ვედრებისა ღვთისმშობლის ხატზედ დახატული. აი, ამითი აიხსნება მისი უარი. ხოლო სხვა საბუთი, ესე იგი მხატვრობითი საბუთი, იპან არ იტოვდა და ვერც დაემყარებოდა მასზედ, რადგან ეს ნაწილი ისტორიულს მეცნიერებისა მის დროში ისე გამოაკვეცივით არ იყო შემუშავებული, როგორც ახლა ჩვენს დროს არის, როცა იკონოგრაფიამ, ასსიროლოგიამ და ეკვიპტოლოგიამ ბევრი რამ შეგვასწავლა. ისტორიამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ მესამოცე წლებიდან დაწყებული, როდესაც აღმოსავლეთის ისტორიის მძიმებელთა დაწვრილებით შეისწავლეს ბიზანტიის ხელობა და როდესაც მხატვრობითი ისტორიის გამოკვლევით საფრანგეთის მეცნიერმა ტენმა ახალი ნათელი მოჰვიანა ამ საგანს.

როგორც ვტყობა, ბ-ნ თ. ჟორდანიამ დაწყებუბია მხოლოდ სათუოდ წარმოთქმულს აზრზედ ბ-ნ დიმი. ბაქაძისა და კონდაკოვისა, რომელთაც მოიხილეს გელათის მონასტერი ცხრა წელს შემდეგ, რაც მე ის ავწერე, ესე იგი 1889 წელს და მაშინ დიმი. ბაქაძეს ზღაში ეჭრა ჩემი დედანი გელათის აღწერილობისა, რომელიც მან მოხოვა ამის გულისთვის და მისმიერ მოწერილი წიგნი დღესაც ზღაში მკვეს. აი, ამისთანა სათუო საბუთზე შეუღლებია ბ-ნ ჟორდანიას თავის გადაჭარალი აზრი „ვედრებისა ღვთისმშობლისა“ ბაგრატ მეფის სახის შესახებ. რამდენად სანდოა და მეცნიერულია ბ-ნ თ. ჟორდანიას ასეთი საქციელი თვით შკოთხველიც მიხედება მას შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა.

1881 წელს, როცა ტფილისში მგზვთე არხოლოლიური კრება უნდა მომხდარიყო, ტფილისის

არხოლოლიურმა კომისიამ მომანდო მე გელათის ზედ-წარწერების და მისი ძველი ნაშთების გადასინჯვა, იქნება ახალი რამე აღმოჩენილიყო, რაც ბროსეს არ ჰქონდა მოხსენებული. მაშინდელი ჩემი აღწერილობა გელათის მონასტრისა დაიბეჭდა მხოლოდ 1891 წ. აღმოსავლეთის ძველ ნაშთთა მეორე გამოცემის პირველ ტომში. (I т. II вып. древностей восточных Импер. Моск. Арх. Общ.)

ნებას ვაძლევ ჩემ თავს მოვიყვანო აქ ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორის ბ-ნი ა. ს. ხახანაივის აზრი, მის მიერ წარმოთქმული აღმოსავლეთის კომისიაში ამ ჩემის შრომის შესახებ: „გ. წერეთელი არამც თუ ასწორებს აკადემიკის ბროსეს მიერ გადმოღებულს ზედ-წარწერებს და ზედ დამატებითს ცნობებს გვაძლევს, არამედ მთელი კოლექცია ახალი ზედ-წარწერებისა აღმოუჩენია, რომელიც აქამდის არ ყოფილა არავისაგან გადმოღებული. განხილვა და თარგმნა ამ ზედ-წარწერებისა ისტორიული შემცენებითე შეუღლებია მას და იქვე მოჰყვას საუკეთესო ქართულს არხოლოლის დიმი. ბ. ბაქაძის შენიშვნებამდე საგანზედ. ორთავე იმათი (გ. წერეთლისა და დიმი. ბაქაძის) აზრების ერთმანეთთან შედარება ამ ზედ-წარწერების შესახებ და მათი გამოძიებანი ბერის ისტორიულს ნათელს ჰფენსო თვით ზედ-წარწერების შინაგანს ახსროს. მე უფრო ვეთანხმებოა გ. წერეთელს, რომელმაც № 6 ზედ-წარწერაში ახსნა, რომ იქ მოხსენებული მეფე ალექსანდრე უნდა იყოსო ალექსანდრე V, მამა სოლომონ პირველისა და არა ალექსანდრე III, როგორც ვტყობდა განსწენებული ბაქაძე და სხვ.“)

ერთ ალაკს თავის არხოლოლიურს აღწერილობაში (წერილი 11) აკადემიკოსი ბროსეც სწერს: „მე ვერ შევიწმინდე აღმოსავლეთის ბუქს თაღში ზედ-წარწერა, რომელიც იხსენებს კათოლიკოსს დიმიტრის და არც არის ეინმე დღემდე ქართველი კათალიკოსი ამ სახელით ცნობილიო, თუმცა ასეთი ზედ-წარწერა მე ამომიკეთხანესო ისტორიკო-ფილოლოგიურს ბიულეტენში (ტ. I, № 21, xx. **). უარს ვერ ვყოფ, რომ არ ყოფილიყოს შეიძლება მართლაც იყო, მაგრამ მე ვი არ ვიციო. მე აქ მხოლოდ ფაქტს ვამბობო“ (voyage arch. 3 livr. 11 rapp. p. 10).

*) იხილეთ Древн. восточ. томъ I, вып. II, стр. 280.

***) Je n'ai point aperçu sur le porche de l'inscription, contenant le nom d'un catholique Dimitri, complètement inconnu d'ailleurs, que j'ai publiée d'après copie communiquée dans le Bulletin Hist. Philolog. t. I № 21, xx. j'en nie donc pas l'existence, mais je constate un fait.

*) ბოდიშს ვიხილეთ მკოთხველთან, რომ წარსულ ნომერში კონფეტურული შეკვლით მეთექვსმეტე საუკუნე, როცა ბაგრატი III შეუღდა იმერეთში, შეუთხმებეც საუკუნეთ არის მოხსენებული. ავტ.

ჩემი აღწერილობა ამავე საგანზე, აი, რას ამბობს: „ზედ წარწერა დიმიტრი კათოლიკოსის შესახებ არის, მაგრამ აღმოსავლეთის კარის ბეჭეთან კი არა, დასავლეთის შესავალ კარებში, იქვე ბეჭს გვერდზე არის კათოლიკოსი სიმაღლით დახატული, მაგრამ მეს-თუბა, რომ იგი კათოლიკოსი ყოფილიყო, რადგან იმას აცვია თეთრი ფილა და ქართულ კედლის მხატვრობაში ჩვეულება იყო, რომ კათოლიკოსს ბაიანში ხატავდნენ-მეთქი.“*)

„სრულებით ეთიანხმები ე. წერილის აზრს. არც ქართულ მატანეში, არც სივლეში დიმიტრი კათოლიკოსი არ შემხედრიანო“ — ამბობს დიმიტრი ბაქრაძე.**)

ამ სახით ის, რაც ბროსეს საეპოთ მიანდა და ვერ ვაერკვია წერილ აბით საბუთების უქონლობით დიმიტრის კათალიკოსობა, თუმცა ვერც უარს ყოფდა მის კათალიკოსობას, მე მხოლოდ მხატვრობითი საბუთის ძალით ცხადთ ვუჩვენე, რომ იქ დახატული დიმიტრი მართლაც კათალიკოსი არ ყოფილა, რადგან ფილაშია დახატული და არა ბაიანში. მეთქი, როგორც მოყვანილი დიმიტრი ბაქრაძის აზრიდან სჩანს, ის სრულიად დეთიანხმა ამ ჩემს დასკვნას, მხატვრობითი საბუთისამებრ შედგენილს. აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრობის ისტორიულად შესწავლას ზოგიერთი ბუნდი ისტორიული ფაქტების გამოსარკვევად.

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ ამ ზემოხსენებული ფაქტების მოყვანით თავი მომქონდეს, ან ეტრახანბოდეს; მე მხოლოდ მინდა ი. ლიანისპირელისთანავე განიხილო უმწიფრებს, ცოტაც არის, შევასმინა ეს ახალი ხერხი ისტორიულის გამოკვლევას.

ახლა შეუდგეთ ჩვენი საქმის გამოკვლევას.

როცა პირველად გაესინჯე კედლის მხატვრობა გელათის მონასტრისა, დავრწმუნდი, რომ ეს მხატვრობა იმ დროის მხატვრობაა, როცა ჩვენში ყოფილნაირი ხელოვნება დაცემულა და ნამეტურ მხატვრობითი ხელოვნება. მეფეთა შორის შევახსნიე კედელზედ ედემონ კათალიკოსი, გვარად ჩხეტიძე. ამან დამარწმუნა, რომ გელათის კედლის მხატვრობა მუაჰმედოვს სუჰუნას ყოფილა, როცა ედემონ ჩხეტიძე მართლაც ახზავთის კათალიკოსად იყო ბაგრატ მესამის იმერეთის მეფის დროს. იქვე მის გვერდით იყო დახატული თვით ბაგრატ მესამეც იმერეთისა. ამ ნახატს განსაკუთრებით ეტყობა მხატვრობითი ხელო-

ვნების დაცემა, თითქმის მოსპობაც. დააკვირდით აქვლის წინა ნაწილში გადმოღებულს კოპიას. მეფის სახე რალაც უსიცოცხლო მუმიის მგზავსია. კისერი მეტად წაგძლეებული აქვს ტანის შეუფერებლად, ხელები ტანის შეუფერებლადვე გძელი და წერილი, ერთხელე სიმაღლეზედ გულზედ და წელზედ დაკრული. აქ არ სჩანს არაერთი თვისუფალი ხელოვნება. ეს არის მხოლოდ უბრალო მოხელობა, როგორც მავალითად ქოთნების, დოქების და სხვა ჭურჭლების კეთება. ერთხელე გამოკრილ კალამოტავე (ყოლიბზედ) და მიღებულ რიგზედ წასმულია სხვა და სხვა ფერადი წამლები. აქ თვითონ კაცის ტანზედ და და მის შესაფერ ზომაზედ კი არ არის მიტკეული ყურადღება, არამედ უფრო ტანისამოსზედ და ძვირფას ქვეზედ, რომელნიც უფრო ნამდვილათ არიან გამოყვანილი, მაგრამ იმათ დახატვისათვის ხომ შემაქმედებითი ძალა მხატვრისა არ იყო საჭირო.

სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს ედემონის ლეთისმშობლის ხატი. თვით ლეთისმშობელი და ბაგრატ მეფე ძალიან ცოცხლად არიან გამოყვანილი. აქ ეტყობა მხატვრის შემოქმედებითი ძალა და ხელოვნური ცოდნა. ამ მხატვრობაში სახის გამომეტყველებას დიდი ყურადღება ჰქონია მიტკეული. ეს არის ნაწარმოები ჯერ კიდევ იმ დროის მიმკლ ხანასი, როცა მხატვრობა და ჩუქურთმა საქართველოში მაღალ-წერტილამდის ყოფილა მიღწეული, როცა ამ ხელოვნებას ჰქონია თავისი შინაარსი და იდეალი. თვით ფერადი წამლების სიცოცხლე დღემდის გასაშტერებელია. ეს ხატი ბევრში მიემჯავსება გელათის მაცხოვრის ხატის ხელობას, რომელიც განუახლებია დავით ნარინს, რუსულად მეფის შვილს, როგორც ზედ-წარწერაც ამტკიცებს. მაგრამ რადგან ედემონის ლეთის მშობლის ხატის წარწერაზედ ბაგრატის სახელია მოხსენებული, ცხადია, რომ იგი უფრო შემდეგი დროის უნდა იყოს, ვიდრე მეტამეტე საუკუნისა, ესე იგი იქ გამოყვანილი სახე მეფისა ან ბაგრატ მეხუთე დიდი უნდა ყოფილიყო, ან მისი შვილიშვილი ბაგრატ VI.

ამ უკანასკნელს საბუთზე კიდევ უფრო მითმ დავიმყარე, რომ მართლაც მეთოთხმეტე და მეთოთხმეტე საუკუნეში ძველი ძვირფასი მინაატურის, მოზაიკის ხელობა, დაერწყმებული და დაცემული იყო და იმის მაგივრად ახალი ფერადი სევალიანი მინაატურის ხელობა შემოვიდა. სწორედ ამ გვარი ხელობის კვალი ატყვია ოქროთი მოქედელს გვერდებს ედემონის ლეთის მშობლის ხატისას. რადგან მე გელათში სხვა ნიმუშები ვეღარ ვნახე, რომ კიდევ

*) იხილეთ Древн. восточ. т. I, вып. II, стр. 228.

**) смотри тамъ-же.

შემდარებინა (შედარებითი მეთოდი მესმარა), ამისთვის გადაეწყვიტა, რომ ევდრებისა ლეთისმშობლის ხატი საქართველოს მეფეს ბაგრატ მეექვსეს უნდა ეკუთვნოდეს - მეთქი, რომელიც მეფობდა (1458—1478 წ.) მეთუხმეტე საუკუნეში და კიდევაც გამოეტევი ეს აზრი ჩემს გელათის აწერილობაში.*) მაგრამ 1890 წელს მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოების მონადობლობით მე გავიზრე ყვირილის ხეობაში ლეიშის მონასტერი, სადაც ენახე ხატი მაცხოვრისა და ლეთისმშობლისა შეწერილი ჰორევიციფით დახატული; თვით მხატვრობა, ფერადი წამლების სიტყვოვლად და სიმტიკე, საისი მოყვანილობა და შემოქმედებითი ძალა მხატვრისა ამტკიცებდა, რომ ეს ლეიშის ხატები და ევდრებისა ლეთისმშობლის ხატი თუ არ ერისთავსა და იმავე მხატვრის ხელით, ერისთავსა და იმავე დროს მაინც უნდა ყოფილიყო ჩემის აზრით დახატული. ლეიშის ეკლესიის ხატებს აქეთ ზედწარწერა, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ლეიშის ხატები და თვით ეკლესიაც ლეიშისა ვაუწყებინებია რაქის ერისთავს რატხ, კახაბერ კახაბერის ძის შვილს. ხოლო ეს კაცი იყო თანამედროვე ბაგრატ V-ისა დიდისა. აქედან ცხადად აღმოჩნდა ჩემთვის, რომ ევდრებისა ლეთისმშობლის ხატი უნდა დაეხატვინებინოს ბაგრატ V-ს დიდს და თვით ზედწარწერის აზრით მიგახედუნეს, რომ მას იგი დაუხატვინებია აღმათ შეწინების დროს, როცა ტყვეობიდან თავი იხსნა, საქართველოში დაბრუნების დროს გასწყვიტა ათი ათასი რჩეული ჯარი თემურ ლენგისა და უარპყო ძალდატანებით მიღებული მამამლის სჯული.

აი, ის საბუთები, რომლებს ძალითაც მე გადაეთქვი წინად გამოთქმული ჩემი აზრი გელათის აწერილობაში და დაეცაყაე მტკიცედ იმ აზრზედ, რომელიც „კვალში“ დაბეჭდილს ჩემს მონარკრაფიაში არის მოყვანილი:

მას შემდეგ, რაც მე ლეიშის მონასტრის მხატვრობა შევისწავლე, სარკმუნდა მიმაჩნია, რომ ევდრებისა ლეთისმშობლის ხატზედ გამოყვანილი მუსომოკრილი მეფე არის ბაგრატ V დიდი და ამ აზრს


მანამდის არ შეეცკო, სანამდის თანამედროული ბეჯითი წერილობითი საბუთი ამ ჩემს დამტკიცებას არ დაარღვევს.

მაშასადამე ყოველივე გამოკამათება ბ-ნი თ. ჟორდანიასი და მისი ამაღასი შესახებ ამ საგნის სულ უქმია და უნაყოფო, ცარიელ-ტარიელ სიტყვებზედ დაუფუნებელი, სანამდის არ აღმოჩნდება თანამედროული წერილობითი საბუთი, რომელიც უარს ჰყოფდეს ჩემს გამოძიებას ევდრებისა ლეთისმშობლის შესახებ. როდესაც ბ-ნი თ. ჟორდანიასი წარმოადგენს ასეთს უტყუარს თანამედროულს წერილობითს საბუთს და მითი დამტკიცებს, რომ ევდრებისა ლეთისმშობლის ხატზედ დახატული მეფე ბაგრატ III იმერეთისა არის და არა ბაგრატ V დიდი, მაშინ პირველი მე მოგებრი თავს მის ცოდნის უწყობას და მითი ევტრბ-ნი თ. ჟორდანიასის თვის უტყობას თავი დაანებოს და მას რომ ი. ლიხაივისპირელებისთანა ნორჩბედი აჰყოლია, იმათ პირში ბურთი მისცეს, დღეს წინდელი დრო აღარ არის, რომ მკითხველი ფელეტრანურ ღრქეობით მოსტყუედეს. საზოგადოება უფრო გონება-განვითარებულა. იგი ითხოვს მტკიცე საბუთებდა და არა ტაკიმასარების და ციხედაცა.

შემუშედარი მავალიდ ღმერთია, მაგრამ კაცი, რომელიც მეცნიერულად საგანს იკვლევს, სიბრძნე და გონიერება მაინც უნდა ღვჯობოდეს. არამც თუ საქართველოს ისტორია, რომელიც ჯერ კრიტიკულად, მეცნიერულად, არ არის შესწავლილი და გამოკვლეული, თვით მსოფლიო ისტორიაშიაც ბევრი ხანგება ჯერ გამოუკვლეველი და წუულიადი სიბნელით მოკული.

წამდელი ისტორიის მკვლევარს უსაბუთოდ ლაზარეკ სრულიადაც არ შეეფენის, ნამეტურ ჩვენ დროში, როცა ყოველი მეცნიერული კვლევა მკლოდ ტხანდა და ხელშესახებელი საბუთებზედ უნდა იყოს დამყარებული. იმედია, ბ-ნი თ. ჟორდანიასი ამ ჩემს შეწინებნას უკადრისობით არ მიიღებს და მომავალში უფრო სიფრთხილით მოექტევა თავის სპეციალურად საძიებელს საგანს.

გ. წერეთელი.



ბ ა ტ რ ი ნ ი შ ვ ი ლ ი ქ ა ბ ტ რ ი ნ ი შ

(ისტორიული ამბავი)

II

მე ღირსეული მშობლების მამიას და სოფიოს ქალიშვილი ვარ, განაგრძო ისეც მთავრის ასულმა ეკატერინემ და ღმერთო მომეცი ის ძალა და შეძლება, რომ მათ ღირსეულ ქალიშვილადვე მოეკვდე. ილიკე ჩემთვის, ჩემო იესე! უთხარი ჩემ მამას და ყველა ჩემს მზღლებელს, რომ გულ-

მოდგინედ ილიკონ ყველამ ჩემ მაგიერ, რადგან დღეს, ხომ მხედავთ, მტრების ხელში ვარ შეპყრობილი და დატანჯული*.

დღომეც ნამტირალევი თვალბებით, გულ-ამომეჯდარი დაბრუნდა დავითთან და ეკატერინეს ამბით ყველანი ააღლევდა და აატრა.

ამას შემდეგ დღომეც ნება ჰქონდა ყოველთვის ვარა ბატონიშვილთან და თავის საყვარელ გურულს საკმელებით ესაზრდობია. ეკატერინეს თან-და-თან ემატებოდა ფერ-ზორცი თავის ქვეყნის საკმელ-სასმელმა მალე იმოქმედა.

თათრების რამაშანის დღესასწაულის დროს, როდესაც დღე ღამეთ მიიჩნია და ღამე დღეთ, იესე

* აქ საქართველ-გრაჯბ დავიძინა, რომ შემდგარ აზრათ მიმაჩნია, ვითრაც გელათის კედლის მხატვრობა ბაგრატ VI განაახლებინოს. იგი განაახლებინა ბაგრატ მესამემ-იმერეთისამ მეთექვსმეტე საუკუნეში. ავტ.

დლოიძე თითქმის ყოველ დღე დილით ნახავდა ხოლომე ბატონიშვილს და დიდად აიშენებდა და ანუგეშებდა ვაჟაკურად აეტანა ეს დამცირება და ტანჯვა. თუმც დიდ ჯილდოს, ოქროს და ვერცხლს ჰპირდებოდნენ დლოიძეს, რომ რაიმე ღონისძიებით დაეთანხმებია ბატონიშვილი სულთანის მეუღლეობაზედ, მაგრამ დლოიძე სულ წინააღმდეგ სიტყვებით არივებდა და აშხენებდა თავის ქალბატონს.

— წარმოიდგინე ჩემი მწუხარება, იესე! ჩემი ერთგული მოსამსახურე ქალი გაურჯულდა, გამოიცვალა სარწმუნოება და ის საძაგელი მეც მიჩრევდა მისი მავალითსათვის მიმებაძა. ვინ გაცვალა ისში? იესო ქრისტე მაშამდში. ოჰ, ღმერთო! ამის ატანა ჩემს გულს არ შეუძლია. მე რაც დრო იქნება, ტყუეს დაეკარგავ, ვიცი! მე იგი იმ წამსვე ვაივადე. დღეს ამათში დიდი პატივისცემით და დიდებით მიღებული ქალია. ერთადერთი ნუკეში ჩემი მუხჯია შეიქნა, ზის და შემომტკერის თვალკმში.

გუშინ მეორედ იყო კიდევ ჩემთან სულთანის. დიდი სიყვარულით და აღერსით მებასებოდა, მაგრამ მე უწინდულად გულცივად შეეხედი. ისიც მუქარით და წყრომით მეუბნებოდა:

— რომ მოინათლო, გამოძეგები თუ არა ცოლად? მკითხა მან.

დიდი სიამოვნებით! მოინათლე ოღონდ და მაშინ მე თქვენი პირველი მორჩილი მონა ვიქნები, მიუტუკე მე.

— რომ არ მოინათლო? ისეც მკითხა სულთანმა.

— რომ არ მოინათლო, მაშინ ვერც მე დამიმორჩილებ. მკედარი თუ ვიქნები შენი, ოღონდ ცოცხალს ჩემს თავს შენ ვერ იხილავ, მიუტუკე მე.

ამაზედ გაჯავრდა, თავი კი დამიქნა და მუქარით გავიდა ოთახიდან. ოჰ, ღმერთო! რა საზიზღარი რაი არის ჯერ ყოველთვის და მერე გაჯავრებულ სულთანში? ასედაც წინ მიღვია მისი განრისხებული პირის სახე და შიშით ეძივდებოდა.

დღესასწაულებივც ვათავდა და დლოიძესაც აუკრძალეს ბატონიშვილთან სიარული. ამას შემდეგ მთელი ორი თვე არც დლოიძეს და არც სხვას ბატონიშვილის აშხენა არ გაუვია. ერთ დღეს ვილაჯ უცნობაში პირმა მოუტანა დლოიძეს ბარათი და ბატონიშვილის პირით სთხოვა დლოიძობრივ კონსულისათვის მიეტანა, რომელშიაც აღხმარებას და შეველას სთხოვდა რუსეთს, როგორც რუსის გენარლის შეილსას. დლოიძემ რამდენი არ ეცადა რამდენი არ დახარჯა, მაგრამ ვერაფრის გზით ეს წერილი დანიშნულენისა მებრ ვერ ვადასტავ, რადგან ყველგან გზა შეკრული ჰქონდა და სასტიკ ყურადღებას აქცევდნენ მათ ცხოვრებას.

1831 წ. 9 ნოემბერს კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ ადიუტანტმა ბარონ როზენმა სთხოვა საშენდრო მინისტრს, რომ ეშუამდგომელებია ხელმწიფე იმპერატორთან გაქცეულ გურულების თაყვანთ სამშობლოში დაბრუნება და მეგვიდრეს მთავრისას თისცემოდა ნაწილი თავის მამულიდან.

სთხოვა ბარონისა შეწყნარებულ იქნა და იანვარში 1832 წ. უმაღლესი ბრძანება მოუვიდა ბარონს, თავისი სურვილი შეესრულებია.

ამ მიზნით ბარონმა მისწერა ტრაპეზონის კონსულს და აცნობა ბრძანება და ნება ხელმწიფისა, რათა სულთანისათვის ეცნობათ და გაქცეული გურულები ობლები თავის ქვეყანაში გამოეშვა.

გაიდა რამდენიმე თვე ისე, რომ დას ძმის არაფერი გაუვია. ბატონიშვილის ეკატერინეს ამაზე მის მხლებლებს არა ესმოდათ რა და ასე დაწუხებულნი ეყარენ: არც მკედარი და არც ცოცხალნი.

ერთ დროს ბატონიშვილი დავით სულთანმა დაიბარა. ყველა გაკვირვებულნი იყვნენ ამ შემთხვევით და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ნეტავ, რად იბარებს ბატონიშვილს დავითს სულთანში!

მატარა დავითი წადგა სულთანის წინ. სულთანმა აღერსი დაუწყა და სხვათა შორის ჰკითხა:

— დავით! ძლიერ ვაგებხარდება, რომ შენი და გამოუშვით და გახეცნოთ? დავითმა სინარულით ხმა ვეღარ აშოილა.

შემდეგ კრძალვით სთხოვა:

— ყოველად მოწყალეო სულთანო! მოგვეცი ნება, რომ დროებით კონსტანტინეპოლიდან ტრაპეზონში ვადავიდეთ, რადგან ყველა ჩემი მხლებლები და მეც აქ ჰაერმა გამოავცადა და ეიხოცებთ!

ამის პასუხად სულთანმა გამოუცხადა:

— არაუც თუ თქვენ შეგიძლიათ ტრაპეზონში წასვლა, არაჲდ სულ გვეძლევა რუსეთის ხელმწიფისაგან ნება თქვენს სამშობლოში დაბრუნებისა და თქვენი და ეკატერინეც თან წაიყვანეთ.

დლოიძემ და მუჭტამე არ იცოდნენ, რა ექნათ ისე აღტაცებულნი იყვნენ ამ გვარი მოულოდნელი საჩუქრით; მხოლოდ დრო გამოშვებით დ. მუჭტამე კი ჩაფიქრდებოდა და ჯავრობდა მიზნის შეუსრულებლობას. გურულები სინარულით ფეხზედ არ იდგნენ. იმ წამსვე დააშაღეს ბარგი, ნახატი თუ რამე ჰქონდათ და სრულებით მზად იყვნენ წასასეღელად. მხოლოდ ბატონიშვილის ეკატერინეს მოსივლას ელოდებოდნენ ის თავისი კავალშო ოთახიდან უნდა გამოეყვანათ და თავის მხლებლებთან და მძასთან მოეყვანათ. ბატონიშვილის ეკატერინეს ეინდა კითხულობდა. ეს ჰქონდა აზრში მისი მდგომარეობა. ყველა აღტაცებული იყო სინარულით, რომ გამოუშვეს, გაათავისუფლეს და სამშობლო ქვეყანაში დაბრუნების ნება მისცეს.

შეენიერი დილა იყო გარშემო ბუნება ისეთის სინარული და სიამოვნების თვალებით იყურებოდა, რომ ადამიანს ეგონებოდა, თითქოს განგებ მოკაზმულა, მორთულა უცხო სტუმრების ვასაცილებლად და უკანასკნელი თანაგრძობის გამოსაცხადებლად. შეიძლება ჩვენს გათავისუფლებულს გურულებს ეს სიშენიერი ბუნებისა მხოლოდ განგებ ეცენებოდათ, რადგან დარწმუნებით იყენ, რომ მათ სინარულიშო ბუნებაჲ კი მოწაწილობას მიიღებდა, აი, სწორედ ამ აღლევებულ მდგომარეობაში იყენ, რომ უცებ ალაყაფის კარები გაიღო და ეხოში სულთანის ეტლი შემოგრიკდა. ეტლს გარშემო შემოგესიენ ეკატერინეს ძმა და მთელი ამალი. ეტლიდან დიწჯაო და დაღერემილის სახით გადმოვიდა ბატონიშვილი ეკატერინე; ერთი ამღერეულის პირის სახით გადავიდა თავის ამაღას თვალი და ასე მუწჯათ ხმაგაუტყმოდა გავშურა ოთახისკენ.

პატარა დავითის და მთელი მხლებლების მდგომარეობა წაწამოუღვენელი იყო. იმდღეს ფეჰრობდენ მზარულად, ეგონად ნახავდენ თავის ქალბატონს, საზოგადო მზიარულებაში ისიც მოწაწილობას მიიღებდა. და დღეს მათი თვლები ვის ხედავდენ. ბატონიშვილმა ეკატერინემ მათ არც კი შეხედა, არამც თუ რაიმე ამაზე ეკითხა.

ბატონიშვილს ოთახში თან შეყვა თავისი ძმაჲ პატარა დავითიც. ეკატერინემ კარებშივე შეაჩერა და მისისაფთჲ ჰკითხა:

— ვინა ხარ შენ?

— ჩემო საყვარელო დაო! ნუ თუ ვეღარ მიცანი! მე შენი ძმა დავითი ვარ.

— სტყუი, შენ დავითი კი არა სულთანე ხარ! აი, შენ მყროლი თათარო, შენ, წინდაცემული უსჯულო, შენ! შენ დავითი კი არა, სულთანი ხარ, მე ვანა არ გიცნობ?. ხა, ხა, ხა, ხა, ხა! სულთანი და დავითი — მენი ძმა ვარო! ეგრე მომატყუებ ვერა, ეყრა... გესმის თუ არა? გადი აქედან?

ეს უკანასკნელი სიტყუები ისეთი ხმით შეჰყურა, რომ მთელი მისი მხლებლები ოთახში შეუცინდენ და ცოცხალ-მკვდარნი ამ ამათ თვალცრემლიანი შეჰყურებდენ ბატონიშვილს ეკატერინას.

— კიდევ არ მომზარდები, შე ურჯულო სულთანო? ეშმაკებო წაიღოს შენი სული... წად... მომზარდე... თვლები შენ შენებინებ შენ სულთამხუთაო? იცოდ, რომ მე ქრისტიანი ქალი ვარ... ჩემთვის სიკვდილი სარწმუნოებისათვის სიკოცლენედ უფრო ტბილი... გადი, გადი, თორემ თავს მოგკლავ... სთქვა ეს და დიწყო წინწა თმისა და ტანისა მისისა. მოიგლოჯა გულიდან წმინდა ნაწილებიანი ხატო, ჩაავლო ცეცხლში და უბრძანა მხლებლებს:

— დეცი თ მის წინაშე და მუხლ-მოდრეკით თაყვანი ეციო? მალე! რაღას უყურებთ! ხა, ხა, ხა, ხა, ხა, რა საცინელია მართლა ეს სულთანი!

დიდხანს უყურებდა ამ გეგრ მდგომარეობაში მყოფს საცოდაეს თავის დას ბატონიშვილი დავითი

და მისი ხლებულა. ისინი იდგენ და გულ-ამოხჯდარი ტროლიდენ, მაჭუტაძე უფლიდა და ამშვილებდა, მაგრამ ბატონიშვილი იქამდის იყო გაფოცებული, რომ კაცმა ხელი ვერ მოკიდა, სანამ არ მიიქნცა და თეთიონ არ დაშვიდდა.

III

მეორე დღეს დიდი მწუხარებით და ტანჯვით ჩასხდენ მათთვის განგებ მოწაწილებულ ხომალდში „სირენაში“ და 15 სექტემბერს 1832 წ. ბატონიშვილი ეკატერინე მძით და მთელი მისი მხლებლებით თავის საშობოლო ქვეყანაში შემოვიდენ. ბატონიშვილის ეკატერინეს ამაღა შესდგებოდა შეიღის თავალიშეიღისაგან, თექესმეტი ახნაურისაგან, ერთი არქიმანდრიტისაგან, ორი მღვდლისაგან და ორმოცი მოსამსახურისაგან. ქალებთაგანი ახლდენ ბატონიშვილი ერთი თვალის ქალი, სამი ახნაურის და ოთხიც მოსამსახურე ქალები. საშობოლოში მოსვლისათანვე ბატონიშვილი ეკატერინე რუსულებში ნათესაგებთან დატოვებს და დავითი კი თვრისში გავხანენს. დავითს თან წაყვა მისი ერთგული თ. დ. მაჭუტაძე, ისინი მივიდენ ქალაქს 30 ოქტომბერს.


დავითის ჩაცვლისათანვე დენერალ-ადიუტანტმა ბარან როზენმაჲ შას თებერვალს 1833 წ. აცნობა ხელმწიფეს ეს ამაგები და დაუყონებლივ უმაღლესი ბრძანება მიიღო, რომლითაც თ. დავითი სასწაულებრად დაჰყების კორპუსში უნდა მიეცათ და საუკუნო პენსიათჲ ათასი მანეთი სახელმწიფო ხაზინიდან უნდა ეცლიათ.

შემდგომი ყველას დაენიშნა პენსია, ვინც კი ახლად დავითს გარდა იესე დლოიძის, რომელიც დარჩა ალბათ მიტომ, რომ იმ დროის გამოჩენილ გეგრს არ ეყუთნოდა, ნამდვილათ კი უფრო მიტომ, რომ რუსეთის მართველობამ რადაც ეცვი აიღო მის ერთგულებადზე.

1833 წელს მაისის თვეში თ. დავითი გავხანენს პეტერბურღში და მისცეს პაქების კორპუსში. რამდენსამე წელს შემდეგ გამოვიდა იქიდან აფიცრის ჩინით და ბოლოს უცნაურად მოკლულ იქნა დალესტნის ომის დროს.

თ. დავით მაჭუტაძემ ბეგრ ომებში მიიღო მოწაწილობა. იყო დაჯილდოებული პოლოკონიკის ჩინით. ბატონიშვილი ეკატერინე მოიყვანეს თბილისში ექიმ პრიობითან, რომელიც რამდენიმე თვე ეკიმობდა. შემდეგ მორჩა გამოპოთელდა ისე, რომ 1834 წელს კიდევაც გაყვა ცოლად მკერეღის თავალიშვილს ლევან ჩიოუს, რომელთანაც დიდი ხანი არ უტხოვრია. ქრმის გარდაცვალებას შემდეგ ბატონიშვილი ეკატერინე თავის ნათესაგებთან ცხოვრებდა 1840 წლამდის. შემდეგ გავხანენს პეტერბურღში, სადაც დაუწყესთ აპეუტინ და მისცეს საცხოვრებლად თავის დას ტერეზიას, რომელიც სამ დაში მართო თს დარჩა ცოცხალი. ეკატერინეს თან წაყვა პეტერბურღში მისი ერთგული ახნაური იესე დლოიძე და მუწჯი მოსამსახურე.

თეოდ. ხუსკივაძე.



საღამოს ენციკლიკის წერებში დიკანის კოლეჯში.

ქალაქი თბილისი

ქრისტეფორე კოლუმბი

(შემდეგ *)



ონასტერი, სადაც კოლუმბმა შეაფარა თავი, იმყოფება ქალაქ პალოსის მახლობლად და აშენებული იყო ღვთის-მშობლის სახელობაზედ. მონასტრის წინამძღვრად ჰყავდა კთილ-სათონიანი და განათლებული კაცი ზუან პერესი. პერესმა შეიტყო, რომ მის სტუმარს ერქვა ქრისტეფორე კოლუმბი, რომ ის ცხლა მიდის ისპანიაში, რათა მეფეს წარუდგინოს ინდოეთის გზის აღმოჩენის პლანები, რომლებსაც განზორციელება უტკეულათ გაამდიდრებენ და აღამაღლებენ მთელს ისპანიას. განათლებულმა წინამძღვარმა დიდის ცნობის-მოყვარობით მოუსმინა კოლუმბს ყოველი ნათქვამი, ბეერი რამ. ჭკუაში დაუჯდა, სთხოვა კოლუმბს გაზაფხულამდის მონასტერში დარჩენილიყო და დახმარებას აღუთქვა, რადგანაც მეფის მოძღვარი კარგი შეგობარი გამოდგა წინამძღვრისა.

გავიდა ზამთარი, დადგა ზაფხული; კოლუმბმა შეილი მონასტერში დასტოვა და თითონ კი მეფესთან წაიდა. მთელი წელიწადი კიდევ ეწეა კოლუმბი. სანამ მოახერხებდა მეფის ნახვას. ბოლოს, როგორც იყო, მეფემ და დედოფალმა ინახულეს კოლუმბი, რომელმაც დიდი აღტაცებით გადაუშალა მათ თავისი პლანები. მეფეს თუმცა მოეწონა კოლუმბის აზრი, მაგრამ მაინც საჭიროდ დაიჩინა ყველა ეს პლანები და პროექტები წარუდგინა მეცნიერთა კრებისათვის, რომელიც ამ შემთხვევის გამო უნდა შეკრებილიყო სალამანკაში. კოლუმბმა მოუთმენლად დაუწყო ლოდინი კრების დაწყებას.

მეცნიერთა კრება შესდგა 1485 წ. კრებაზედ კოლუმბიც იყო მოწვეული, მაგრამ უზედურის მეცნიერის ტანჯვას კი მაინც ბოლო არ მოეღო. კრებამ არამც თუ გულ-დასმით არ მოუსმინა კოლუმბს აზრი, არ გაუსინჯა პლანები, არამედ სასაცილოდ აიგდო, ურწმუნოება დასწამა, ცრეტკი უწოდა. კოლუმბი ბერნიარად ეცადა დაემტკიცებინა ამ მეცნიერთათვის, რომ დედამიწა რვეალია, რომ ოკეანს აქვს საზღვარი, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაუთარა, რადგანაც ყოველს მის აზრსა დამოკიდებულად ჰქონდა სარწმუნოებრივი საკითხავებითა და ამ საკითხავების შეხება ხ.მ. მომაკდინებელ შეკადრებად ითვლებოდა.

სახულიერო წოდებას არა სწამდა დედამიწის სირველ და რაკი დედამიწა რვეალი არ არის, მის გარშემო შემოვლაც შემუძღვბელი არისო. გარდა ამისა, ამბობდენ მეცნიერნი ღვთის მეტყველნი, როგორც რომ კიდევ მოეხერხებოთ და გადავიდეთ დედამიწის მეორე მხარეზედ იქიდან როგორღა ამოვიდეთო. ამ სახით ვერც ამ კრებამ უშველა კოლუმბს.

გავიდა რამდენიმე წელიწადი და კოლუმბი ცოტას გასწვდა სასოწარკვეთილებას არ მიეცა და სამუდამოდ არ უარჰყო თავისი აზრები, მაგრამ აქ გაკრებიდან დაიხსნა და დახმარება აღმოუჩინა იმავე მონასტრის წინამძღვარმა ზუან-პერესმა, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ბორწმუნე დედოფალზედ. 1492 წ. კოლუმბი კვლავ მიიწვიეს სასახლეში, სადაც დედოფალმა აღუთქვა დახმარება; მეფეც აღარ ეწინააღმდეგა და შეჰკრეს პირობა, რომლის ძალითაც კოლუმბს ებოძა აღმზარებლობა, ეიცეკარობა და მთავარ-მართებლობა ახლად აღმოჩენილის ადგილებისა და ამისთანავე მეთაენაწილი ამ ქვეყნების შემოსავლისა.

ამ სახით მთელი ჩვიდმეტი წელიწადი ატარა კოლუმბმა თავისი დიდებული აზრი, ჩვიდმეტი წელიწადი ეწეა; ბეერი ტანჯვა, დაკინვა და შეურაცყოფა გამოიარა, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია. ვაკეთა ხომალდები, მოიწვია საჭირო ხალხი, დაამზადა საგზალი და სამი ხომალდით, პარასკევს 3 მარიაშობისთვის 1492 წ. დილის რვა საათზედ აუარებელი ხალხის თანადასაწყრებით, აუშვა ხომალდები და გასწვდა დასავლეთისკენ თვალ-გაღწეულდენთვის ატლანტიდის ზღვაზედ.

მოგზაურობის პირველ დღიდანვე, კოლუმბმა თავისი გემებით გასწია ჯერ სულ სამხრეთისკენ; მერე მოუხვია სამხრეთ-დასავლეთისკენ და მიადგა კანარიის კუნძულებს, რომ შეეცეთებინა ერთი დახიანებული ხომალდი. ამ კუნძულზედ ისინი დარჩნენ სამი კვირა. ეწვეისთვის ხომალდები ისევ გზას დაადგნენ. მეზამალდენი შიშით და ცახცახით შესცქეროდნენ უსაზღვრო ზღვას, მაგრამ თვითონ კოლუმბი კი დინჯად და რწმუნით მიდიოდა სულ სამხრეთ-დასავლეთისკენ. ჰაერში ზომიერი სითბო იდგა. დაჩი იყო შეწეიერი. აღმოსავლეთის ქარი ხელს უწყობდა გზაჯერებს და ხომალდებს დასავლეთისკენ ეხიდებოდა. გავიდა რამდენიმე დღე, რამდენიმე კვირა და ხმელეთი კი არსადა სჩანდა. მოგზაურები შეშინდნენ. დაუწყეს საყვედური კოლუმბს.

*) იხ. „კვალი“ № 30.

მალე საყვედურს შესცვალეს მუქარად და ერთს დღეს გაშმაგებული და აღელვებული ხალხი შემოიქცეია კოლუმბს და უყვიროდა: დაებრუნდეთ უკან, თორემ აგწვეთ და შიგ ზღვაში გადავისვითითო. კოლუმბი იყო იმდენათვე დიდ-სულოვანი კაცი, რამდენათაც დიდ-გონებანი, იმიტომაც იმან მალე მიახერხა აჯანყებულის ხალხის დაშვილება. ამასთანვე კოლუმბის სახედინგორად მალე გამოჩნდნენ დედამწიფის ნიშნები: ბალახი და ფრინველები, რომელთაც ხმელეთის მოშორებით არ იციან ფერვა. ხალხი გახმნვედა. იმედი მოეკა. ბოლოს, სწორედ იმ დამეს, როდესაც კოლუმბის ანგარიშით უნდა ბოლო მოჰქვებოდა ამ მოგზაურობას, მატროსებმა დინახეს სინათლე, რომელიც იყო უტყუარი ნიშანი დედამიწის სახალოვისა ვათენებისას ერთმა მატროსმა სინარულით წამოძახა: დედამიწა, დედამიწა, დედამიწა მოჩანსო. ეს იყო 12 ლეინობისთვის.—კოლუმბი აღტაცებაში მოვიდა. იმას გვანა ინდოეთის მივალწიერი, ის კი არა თუ ეს ხმელეთი იყო, კუნძული გენავანი, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ამერიკის მახლობლად.


ხომალები გვექანენ კუნძულისკენ, ჩაუშვეს ნაეები და მალე ჩენი მოგზაურები მიადგნენ ხმელეთს. კოლუმბმა ჩაიკვა შეენიერი ბრწყინვალე ტანისამოსი, ხელში დაიჭირა ისპანიის დროშა. პირველმა შესდგა ფეხი კუნძულზედ, კანონის ძალით ეს ხმელეთი გამოაცხადა ისპანიის საკუთრებდ და დაარქვა სახელად სანსალვადორ.

ევროპიელების თვალწინ გადაიშალა შვენიერი, ბუნებით შემკული, ათასნაირის მცენარეობით შემოსილი კუნძული. კუნძულზედ ხალხიც აღმოჩნდა. ეს ხალხი, რასაკერაფელია იმყოფებოდა ევლურ მდგომარეობაში. ქალიც და კაციც ტრეტლები დადიოდნენ. ტანის მოყვანილობა ჰქონდათ კარგი და მიმოხილული. მსხვილი და გრძელი თმა წინ წარბებამდის ჩამოსულიათ, უკან კი წელსამდის ჰქონდათ ჩამშებული. ზოგს მათვანს ტანი შავად ჰქონდა შეღებლილი, ზოგს თეთრად, ზოგს წითლად. ბუნებით კი ისინი არც შავები იყვნენ, როგორც არაბები, არც ისე თეთრები, როგორც ევროპელები, არამედ ისე—სპილენძის ფერი ელვათ. იმათ იარაღი არა ჰქონდათ რა, როცა ევროპიელებმა ხმალი უჩვენეს, იმათ ისე წააველეს ხელები, რომ თითები დაიჭრეს. ერთადერთი იარაღი მათი იყო გრძელი ჯოხი, რომელსაც თავზედ დამაკრებული ჰქონდა ძვალი, ან ქვა. რკინის ხმაკრება სრულიად არ იცოდნენ. რადგა

ნაც კოლუმბი დარწმუნებული იყო, რომ ეს კუნძული ინდოეთს ეკუთვნისო, იმიტომაც ამ ხალხს იმან დაარქვა „ინდოელები“, და ეს სახელი ამ უკანასკნელ დრომდე შეჩაბთ ამერიკის მცხოვრებლებს. კოლუმბმა დაუყვევა ინდოელებს, საჩუქრად დაურიგა რაღაც უბრალო ზიზილა-პიპილები და ბჭყერილა ნივთები, რომლებსაც ნაცულად ინდოელებმა დაურიგეს სტუმრებს ხილი, სხვა-და-სხვა ლოკონები და ოქროს ნაჭრები. ევროპელების სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ინდოელები ხელით ანიშნებდნენ, რომ იქით ბევრი ამისთანა ოქრო არისო. ევროპელები მიილტოდნენ ოქროს საძებნელად, კოლუმბი კიდევ ახალი ქვეყნების აღმოხაზნადა; და, არც ერთი არ დარჩენილა ხელ-ცარიელი: მცხოვრებლებმა შეიძინეს ბლომად ოქრო და ვერცხლი; კოლუმბმა კიდევ ბევრი ახალი კუნძულები აღმოაჩინა. ამ დროს ერთი ხომალდი, რომელსაც უფროსობდა გაიძევრა კაცი მარტი პინსონი, მოშორდა სხვა ხომალდებს და საიდუმლოდ გაიპარა ოქრო-ვერცხლის საძებნელად. ამ საქციელით აღშფოთებული კოლუმბი დაბრუნდა კუნძულზედ—ვაიტიზედ, სადაც მან გაიწრო და დაუშვებორდა ინდოელების უფროსს გუაკანარს, რომელიც დიდ შემწეობას უწევდა ახალი ქვეყნების აღმოჩენაში.

როცა კოლუმბმა საკმარისად აღმოაჩინა ახალი ქვეყნები, განიძრახა ისპანიაში დაბრუნება. ამისთვის კუნძულზედ ააშენა პატარა ციხე, რომელსაც დაარქვა ისპანიოლა, შიგ დასტოვა რამდენიმე ნაწილი თავისის მცხოვრებლებისა; ყველას შესაფერი დარბევბა მისცა და იანვარში 1492 წელს დაბრუნდა ისპანიაში, რომ მეფისთვის ეძღვნა თავის ნაჭარმაკევი ახლად აღმოჩენილი ქვეყნები.

არც ერთს გვირგინისაანს არ მიეგებება ხალხი ისეთის აღტაცებით, როგორც მიეგებენ კოლუმბს ისპანიაში. თვით მეფე და დედოფალი ელოდნენ დიდებულს აღმირალს ბარსელონაში. მოზრედა ხალხი, დიდი თუ პატარა; ყველა ქებით იხსენებდა კოლუმბის სახელს, ყველა ვაფაცივებით ისწავდა კოლუმბის მიერ მოყვანილს ინდოელებს, თუთიყუშებს, ოქროს ზოდებს. ეს იყო საერო დღესასწაული ისპანიისა, დღესასწაული კაცის გამარჯვებისა. აღტაცებით აუწყრა კოლუმბმა მეფე-დედოფალს თავისი მოგზაურობა, ახლად აღმოჩენილის ქვეყნების სიმდიდრე. ფერდინანდმა და იზაბელამ დიდი მადლობა გადაუხადეს დიდებულს მოგზაურს, უბოძეს ვიცე-კაროლობა ახლად აღმოჩენილის ქვეყნებისა და აღუ-



თქვეს დახმარება მეორე მოგზაურობისათვის. კოლუმბი მთელი ხალხისთვის ხელით სატარებელი და საყვარელი კაცი გახდა. ყველა ცდილობდა მის წახვას, მის პატარისცემას, მის მიწვევა-მიპატივებას. მაგრამ ამავე დროს არც გესლით გააოხილს შურს ეძინა. იგი გველურად დასისინებდა ხალხში, სთესავდა ბოროტს; ცდილობდა ჩირქი მოეცნო დიდებულის კაცისათვის, მაგრამ ჯერ ევრას ჰხდებოდა. კოლუმბი მეტად გაიზარდა ხალხის თვალში, კოლუმბმა მეტად დიდი საქმე ჩაიდინა, მეტად საჭირო გახდა, რომ ამისთანა ქვეყნ-რომ სიბოროტს ეწერა რაჟმ მისთვის.

კოლუმბი შეუდგა სამზადისს მეორე მოგზაურობისათვის. ახლა ეს საქმე ერთი ორად უფრო ადვილი იყო, ვიდრე პირველ-

ად. ახლა ყველანი იცოდა სადაც მიდიოდა და რაც მოელოდა მას! ამიტომაც მოგზაურობის მსურველნი ბლომად გამოჩნდნენ. კოლუმბმა მალე შეამზა 17 ხომალდი; დატვირთა იგინი ყველაფრით, რაც კი საჭირო იქნებოდა ველურ ქვეყანაში; საკონლით, თესლეულობით, იარაღით. ამ სამზადისში კოლუმბს ეხმარებოდა მეფის რწმუნებული ფონსეკა, რომელთანაც კოლუმბს რამდენიმე შეტაკება მოუხდა და მით მტერი გაიჩინა, მტერი მით უფრო საშიში, რომ, როცა კოლუმბი შორს ქვეყნებში მიდიოდა, მაშინ მისი მტერი შინ მეფესთან რჩებოდა. როცა ყველაფერი მზად იყო, ხომალდები მხიარულად მოშორდნენ ევროპის ნაპირებს ზღაუღდენ ოკეანე-ზღვას.

კოლუმბის გამგზავრება და შვილთან გამოთხოვება

რ. ჯაჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ყვავი და ბულბული

(გულდენი ლ. 2-მეს)

მრთხა ბაღში ბუჩქის ძირას გოგო მკლავებ დაყრდობილი იჯდა, ვარდებს დასცქეროდა, ჯავრიანი მოწყენილი.

სვედებით და მწარე ფიჭით გასენბოდა საწყალს გული,

გულ-ამოსკენით ქვითქვითებდა. თვალთ სდიოდა ნაკადული.

მიველ ახლო და მიზნზი გამოვკითხე ცრემლთა დენის; მანაც მითხრა დაწერილებით შინაარსი მონახდენის.

ესე ბალი ჩვენ გვეკუთვნის, წინეთ იყო შეწერიერი,

მაგრამ ახლა დავეიბოლდა
და გადაჭრა სულ სხვა ფერი.

წინეთ გვეყავდა მოწვეული
აქ მებადღე ჩვენ ბულბულთი,
მთელსა ბაღში ტრიალებდა
სიციცხლედ და სიხარულით.

მაგრამ ახლა ის აღარ გვეყავს,
ვაფრინდა და გაეშურა,
აღმოსავლის გზას გაუღვდა,
თვის სამშობლოს მიაშურა.

ვაფრინდა და თან წაიღო
ჩემი სული, ჩემი გული.
აქ დამტოვა მარტო ობლად
საწყალი და ბედით კრული.

ერთსა დიდ ას ამას შემდეგ
ნაღელიანი მ წყენილი,
ჩამოველ და შამომესმა
უცნაური რამ ჩხავილი!

დავინახე ხისა ტოტზედ
რაღაც იჯდა, მეტად შავი,
წიწილისა მტერი გახლდათ,
თურმე იყო დიდი ყვავი.

ბულბულისა შემდეგ, თურმე,
მებადღე ის გაშხადარიყო,
ბაღსაც ეგრძნო მისი მოსელა,
ყვავილები დამჭნარიყო.

დასჩხავის, თითქო მისი ხმა
კარგი რამ გასაგონია;
რადგან ბულბულის ადგილს ზის,
თავი ბულბული ჰგონია.

თვალთა მებატვის მებადღე,
ის შვენიერი მგოსანი,
და ცრემლებსა მკერის თვალებზედ
ის ტკბილი მოგონებანი.

როცა რომ გული ტანჯული
მე ამეცხება ჯავრითა,
ამ ბუჩქის ძირას ცრემლებს ეღვრი
და დარდებს ფეხტაე ამითა“.


აქ დასრულა გოგონამ,
თვალთაგან წასკდა ცრემლები,
ხის ტოტზედ ყვავსა შეხვდა
და გაუშტერა თვალები.

დიდხანს უტკერდა ის იმას
ჯავრითა ჩაფიქრებული,
თითქო შესთხოვდა: წაიღო
და გამოგზავნე ბულბული.

პასუხი აღარ მიიღო,
ისევე ჩაჰყდა თავია,
და გადმოუშვა ცრემლები
ნორჩ-გულის მოსაკლავია!

ამ ამბის მსგავსი სწორდა
მეც მომავონდა წარსული
და გულ დამწვარი ბაღიდან
გაველი ჩაფიქრებული.

ქ. გოგავაძე.



ბ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო მ ს ე ბ ი

(ისტორიული ესკიზი)

მ არტიებს აქვს ხან (უიღე, ხან კარგი მნიშვნელობა საზოგადოებისთვის. მისი კარგი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ სჩანს, როდესაც მას ხელსამძღვანელოდ აქვს რაიმე საზოგადო აზრი ერის წარმატების მექანიზმი. როდესაც თითოეული მომხრე პარტიისა გონებით განვითარებულია და ქმის ქვეყნის და ერის სარკებლობა რასში მდგომარეობს და იმის მოსაპოვებლად იბრძვის. ამ შემთხვევაში შეიძლება რამდენიმე პარტია დაარსდეს საზოგადოებაში, ყოველი მათგანი პატიოსანი განზრახვით იყოს გა-

მსჭვალული, მხოლოდ ერის სიკეთისათვის სხვადასხვა გზას ადგენ, სხვადასხვა ღონისძიებას ხმარობდნენ. რამდენადაც პარტია გულახდილად მოქმედობს და საზოგადოების კეთილ-მდგომარეობის ძიებაში ანგარება, პირადი ინტერესების გულისთვის ბრძოლა არ ეტყობა, იმდენად უფრო დიდს გავლენას მოიპოვებს. და მაგ გვარ პარტიებს დიდი გავლენა იმიტომ აქვთ ხოლმე ერზედ, რომ თითოეული წევრი განიხილავს კეთილ ზნეობით, შრომობენ სინდისიანად და ეჯიბრებიან ერთმანეთს. აი, ამ კეთილი ჯიბრით ერის გონება ოან-და-თან მწიფდება და წინ მიდის.

პარტიებს კუდი გავლენა აქვთ ერზედ მაშინ, როდესაც ისინი შრომობენ არა თუ უანგაროდ, არა-

მედ ინტერესის და სარგებლობის მეტიებლობით, როცა პარტიების მოთავეებს წინააღმდეგ დანიშნული აქტით, როგორც შემოსავლიანი ადგილები უნდა დაიქორნა და ცდილობენ, რა ღონისძიებით ჩამოავდონ ტახტიდან თავის მოპირდაპირები. ამ გეგმის პარტიის უფრო ნაირი ბოროტება და შურია დამკვიდრებული. ყოველი წვერი იმისთანა პარტიის განსჯეალურად იმ მიზნით, იმ ინტერესით, როგორ გამოსდონ სარმა თავიანთ მოწინააღმდეგეთა პარტიის მეთაურებს, რომ ისინი საზოგადოების თვალში დაამცირონ, მათი გაკეთებული საქმე შემუსრონ და დაამხონ. ესადა, რომ ის საზოგადოება, რომელშიაც არიან ხსენებული პირადის სარგებლობის მეტიებლობით აღჭურვილი პარტიები, სასურველია წინ ეყრწევიან, გონების ზრდა არ შეეცდობა და მუდამ ერთ ნაბიჯზედ დარჩება. აი, ეს არის პარტიების ცუდი მხარე და ასეთი მიმართულება პარტიისა დიდი მწინებელია საზოგადოებისთვის.

სომხებში პარტიებმა მას აქეთ ამოჰყვეს თავი, როდესაც დაარსდა გავითი „მშაკი“ ბნი გრ. არწრუნის რედაქტორობით (1872 წ.*). და როდესაც ძალიან გაშფუთდა ძველი და ახალს თაობას შუა ბრძოლა; ახალი თაობა მიემხრო „მშაკს“ და დაერქვა სახელად მშაკგანა, ძველი თაობა კი ვადიდა „მელუს“ (**). მხარეზე და იწოდა სახელად მელუსგანა. ამ გეგრად დაარსდა ორი პარტია სომხებში: მშაკიკანები ანუ წარმატების მიმდევარნი (პროგრესისტები) და მელუსკანები, ანუ ძველის წეს-წყობის მიმყოფნი (კონსერვატორები).

მშაკიკანების მომხრე ჯერ იმ წრეში იყო, რომ არცა ჰქონდა მოშადება და არც ძალა, რომ ხალხის არჩევანებში მონაწილეობა მიეღო და შებრძოლებოდა კარგად დაწყობილს მელუსკანების პარტიას.

სომხებში პარტიები უფრო-და-უფრო შემდეგში გაძლიერდნ და გამრავლდნ არჩევანების გამო. პირველად დიდი ბრძოლა ატყდა ზემოხსენებულს ორს პარტიას შორის 1884-სა და 1886 წ., როცა სომხის კათოლიკოსს ირჩედნ. იმ არჩევანში გამოჩნდა ახალი და ძველი თაობის გავიბრება. ამ დროს ცალკე შესანიშნავი ადგილები დაიჭირეს: გავითმა „მელუს“, როგორც მეთაურმა და ძველმა ორგანმა ძველის თაობისამ, ამის თანახმა შეიქმნა და შეუერთ-

და გავითი „ნორდარი“; მათი წინააღმდეგი იყო ახალგაზღობის მეთაური გავითი „მშაკი“ და მასთან თანამობით მოქმედი „არძაკანი“ (**). აი, ეს იყო სომხებში პირველი დიდი შემთხვევა სადაც ცდილობდნ ბანაკების კეთილი ძალები, რომელნიც გამშაკალონი იყენ საზოგადოების სიკეთით და პირადი ანგარიშები ჯერ არა იყო-რა მათში.

ეს ბრძოლა ვათავდა ჯერ მელქისედეკი და მეგრე ნერსის ვარჯაპეტთან ამოაჩიეს საკათოლიკოზო უპირატეს კანდიდატებად.

განელო რამოდენმა წელიწადმა და რადგან არჩევანები აღარ იყენ, აღარც პარტიების ბანაკების მოძრაობა იყო თვალსაჩინოდ. მაგრამ მეორე მხრით კი მაგ მშვიდობიანმა წელიწადებმა დიდი ნაყოფიც გამოიღო. წამკითხველმა საზოგადოებამ დრო იპოვნა, უფრო დაუწყარებთ ვაერჩია ჟურნალ-გავითების მიერ წარმოთქმული აზრების შინაარსი. იმან გული დაუდგა ჟურნალ-გავითების კითხვას, ჩაუყვირა იქ წარმოთქმულ აზრების შინაარსს, ასწონ-დასწონა და ბოლოს ვაიგო, რომ ჟურნალ-გავითები ლატაკნი ყოფილან ტკუის მსაზრდობელ მასალით და არ დგომილან იმ სიმაღლეზედ, რა სიმაღლეზედაც საჭირო იყო, რომ მიკითხველი საზოგადოებისთვის მეთაურობა ვაეწია.

თითი მოწინავე აზრების წარმომადგენელი „მშაკი“ იმეორებდა იმავე აზრებს, რომლითაც მან უკვე პირველში 1872 წლებში ვანიტყვა სახელი, აღარც ახალ საკითხავენს იძლეოდა, რომელიც ცხოვრებას გამოეწევა და აღარც ძველი აზრების შემუშავება ეტყობოდა.

აი, ამ მდგომარეობაში იყო ჟურნალ-გავითის საქმე სომხებში, როდესაც რამდენიმე შემთხვევებმა ახალი ძალა გამოიწეეს სომხის პარტიების ბანაკებში. პირველი იყო ბნი გრ. არწრუნის მოღვაწეობის 25 წლის იუბილიეს გამართვა. იუბილიემ შევაროვა ერთად ის ბანაკი, რომელსაც ახალთაობის სახელი ერქვა.

80 წლებში არჩევანების დროს მეთაურობდნ რამდენიმე მაღალი განათლების მქონე პირები და სკოლების მასწავლებელნი. იმათმა მხენ მოქმედებამ თან-და-თან ვადიდა „მშაკის“ გავითის კავლინა სომხის ხალხში; სომხებმა ყოველ კუთხიდან მოსცეს მხა და თანავარძობა გრ. არწრუნის უნგარო მიმართულებას, ასე რომ როცა 90 წლებში საარჩევანო მოძრაობა დაიწყო, „მშაკის“ მომხრეები ძალიან ვა-

* „მშაკი“-ის მიმართულება და ბნი გრ. არწრუნის ბიოგრაფია სურათით ცალკე დიბეჭდება „კვალში“. „მშაკი“ ქართულად მუშაკი, ანუ მუშა კაცია, ივტ.

** „მელუს“ ბოლოს დროს გამოდიოდა ყოველ დღე ბნი პეტროს სიმონიანის რედაქტორობით. მელუს ქართულად ფუტკარის ნიშნავს. ივტ.

*) „ნორ-დარი“ გამოდიოდა ყოველ დღე ბნი ს. სპან-დარიანის რედაქტორობით. ივტ.

** „არძაკანი“ გამოდის ყოველ კვირა ბნი ა იოვანესიანის რედაქტორობით. ივტ.

მრავლდენ, იმას თანაუკრძნობდენ მრავალი წოდების სომხობა მდიდარი და ღარიბიცა.

ეს სხვა-და-სხვა წრის, სხვა-და-სხვა წოდების და შეძლების ხალხი ერთი აზრით შეეერთა „მშაქის“ რედაქტორმა გრ. არწრუნმა და ამით მოიპოვა დიდი პატივისცემა სომხობაში.

უკანასკნელ წლებში მელაქანების პარტია მხოლოდ სახელით არსებობს, მაგრამ საქმით კი შეერთებულან სხვა გაზეთებთან და გაცეთებულა ორი წრე: ნორდარბაქანული და არმაგანბაქანული; მათი მეთაური ორგანიზებია: პირველისა გაზეთი „ნორ-და“ და მეორესი კი „არმაგანქი“. ამ ორი პარტიის მიმართულე ბა ერთ გვარია—მეღვებურს წესს მისდევენ, უნდათ შეინახონ გვარის უწინდელი ჩვეულებანი და შინაური წეს-წყობილება. ამ პარტიას საერთო სახელს უწოდებენ საღვდლო ოგების ანუ ტურაკუების პარტიას. ამასთან ერთად შრომობდენ მხოლოდ სათათრეთის სომხეთში გამოცემული რამდენიმე გაზეთები, მაგრამ ტფილისში იმათი მომხრე გაზეთები აღარ იპოვება გარდა იმ ორისა.

მშაქანების მიმართულენას უფრო ახალი დროის სული აქვს. იმათ უნდათ შესცვალონ ყოველივე ახალი განათლებისა და ამ დროის შესაფერ პოლიტიკისა მებრ. იმათ ჰსურთ, შესცვალონ ის ძველი ჩვეულება და წესი, რომელიც ხელოვნეს უტრავს ახალთაობის ცხოვრებას ევროპის განათლებისა მებრ მოართულს. მაგალითად სომხობას ძალიან შეკრული ჰყავს კოლ-ქმრობითი დამოკიდებულება იმათში დღე-კაცი დაჩაგრულია მამაკაცისაგან და ქალი საზოგადოდ ოჯახში უხმო მშრომელია. მშაქანის პარტიის კი სურს დედაკაცი განათლებისათვის ოჯახისა და ქმრის მონებისაგან; თუ დედა-კაცს აუტანელი ცხოვრება მიეცა ქმრის ოჯახში, მშაქანის პარტია ცდილობს, რომ საეკლესიო წესით ადვილად შეიძლებოდეს კოლ-ქმარის გაყრა. ამ პარტიის ორგანიზა, როგორც ზემოთა ვთქვი, გაზეთი „მშაქი“.) ამის მომხრენი არიან ტფილისში ყოველ თვეური ტურნალები. „მურტი“, „აღბიური“ და საციკოაო გაზეთი „ტარაზი“, აგრეთვე სათათრეთში მრავალი სომხური გაზეთებიც.

პირველად ამ ახალმა გაძლიერებულმა და დაწინაურებულმა პარტიამ თავის მნიშვნელობა და ძალა გამოიჩინა 1892 წ. სომხის კათოლიკოსის ამირჩევის დროს, როცა გრ. არწრუნმა დაამატა გავლენის მქონე „არმაგანქის“ რედაქტორი ბ.ნი იოვანიანი და გაეცა თვითონ დღევგატად. არწრუნის

იუბილეს შემდეგ ეს იყო მეორე და უფრო დიდი შემთხვევა პარტიების ბანაკთა დატაკებისა. იმათ ბრძოლაში დაბალ ხალხმაკ მიილა მონაწილეობა.

ეს ჩვენს სურათი სომხების პარტიების ისტორიისა სრული არ იქნება, თუ ორი სიტყვა არა ვთქვით პეტრე სამოვილის ძე „მანშიაშვილზე და პეტრე სიმონიანსცე. პ. მანშიაშვილი ძალიან განეთარებულე კაცი იყო ღელისმეტყველებლაში და ისტორიაში. ის იყო მეტად კეთილი კაცი და თავდადებული პატრიოტი. იმის გავლენას ქვეშ დიდი მხნეობის მექონე პეტროს სეიმონიანსცა მესამოცე წლების დამდეგ დაარსა გაზეთი „მეღვ ჰიასტანი“ (სომხითის ფუტკარი). იმან ჩაუწერა სომხის სამღვდლოებას აზრი, რომ ეროვნება და მისი გვარი, როცა სამშობლო ენას დაივიწყებს, გადარჯულდებულად ჩითვლებათა. როგორც ზედამხედველმა სომხის სემინარიისამ, მან შეაყვარა სომხების შეგირდებს და ღელის შეალებს (ტურაკუებს) სომხური ენა, სომხის ისტორია და სომხეთის სამშობლო. მის გავლენას ქვეშ სომხის სამღვდლოება გაპატრიოტდა და ამ ოც-დაათის წლის განმავლობაში მთელი სომხეთის მხარეზე და საქართველოშიაჲ, საცა კი სომხობა ცხოვრება და თავის ენა დაუწყებულე ჰქანდა, მდღეს ყველანი შეენიერად ლაპარაკობენ სომხურს და იციან თავის გვარის ისტორია. პ. სიმონიანსცა სომხის სამღვდლოება გამოაფხიზლა, შეაკაშნა, მისცა ერთი ეროვნული მიმართულება და იმისვე საშუალებით გადარჯულდებული სომხობა ისევ მოაქცია. მაგიერად იგი იფარავდა თვით ამავე სომხის საღვდლოებას თავის გაზეთის „მეღვ ჰიასტანის“ საშუალებით, როცა მას გრ. არწრუნ და ახალი თაობის მომხრენი ახლოვდენენ ანკარების მოყარებას, მრეცნის ცარცე-მთევჯას, გაუწათლებლობას და ქორწინებით ეაქრობას, ჯვარის-წერის გაყიდვას, ქალების დაჩაგრვას და სხე. ამით პ სიმონიანსცა კიდევ უფრო შეაყვარა თავი სამღვდლოებას და ძველი თაობის კაცებს. გრ. არწრუნ იმიტომ კიხავდა და ქადაგებდა საღვდლოების განათლებას, მის დაწინაურებას, რომ სომხის საღვდლოება ყოველიყო სარწმუნოებრივის მახატურებაში მსოფლიო მეცნიერებით აღჭურვილი. ის მხედ სდენდა ყოველ გვარ საღვდლოების ბოროტ-მოქმედებას და მის ანკარების მოყვარებას, ცხადდა მას ფარისევებს და ხალხის მატყუარს. პ. სიმონიანცი და მისა მომხრენი კი ამაში ხედადენ ეროვნების დღალას. ისინი ამბობდენ, რომ გრ. არწრუნს უნდაო საღვდლოების დამკირება ერის თვალში, რომ მას გავლენა მოუსპოსო. ეს არის ეროვნების საწინაღმდეგო საქმეო.

*) ბ.ნი გრ. არწრუნის სიკვდილს შემდეგ ეს გაზეთი აღარ გამოდის; თუმცა იმედი აქვთ, რომ ამ კოტა ხანში ეს გაზეთი ისევ დაიწყებს თავის მოქმედებას. ავტ.

გარეგან პოლიტიკაშიაც მელუკანები სხვა აზრისანი იყენ. ისინი ელადენ სომხის ერის გათავისუფლებას ევროპის სახელმწიფოების მეთხებით და სამეღლო ნიშნად მიიჩნდათ ის გარემოება, რომ ერთი ნაწილი სომხეთისა ოსმალეთში იყო; მაშინ, როდესაც მშაკაკანები ცდილობდნენ, რომ რაც შეიძლება მალე დაეწყურო რუსეთს ოსმალეთის სომხეთი და იქაური სომხობა გაეთავისუფლებინა ქურთების შეწყობებისაგან. ამ გვარი სხვა-და-სხვა შეხედულებით ისე ვადავმტრენ ერთმანეთს პ. სიმონიანცი და მისი მომხრენი გრ. არწრუნს და მის მიმყოფებს, რომ ერთი მხარე მეორეს ქვეყნის გამცემლად აღიარებდა. მაგრამ იმათა საქმერად უნდა ეთქვათ, რომ ორივე მხარე იყვენ უანვარო პატრიოტები და თუ ერთმანეთს ებრძოდნენ, შილოდ თავის ერის ერთეულებისათვის. გრ. არწრუნის საქმერად ესეც უნდა ითქვას, რომ ის ეძებდა ქართველების და სომხების დაკავშირებას ერთმანეთთან პოლიტიკურს საქმეებში. მაშინ, როდესაც პ. სიმონიანცი ამბობდა, რომ ჩვენ ქართველების მეგობრობა ხელს არ მოგვეცემსო, ამიტომ რომ მაგათ თავის ერთეულება დაკარგესო, თავის სარწმუნოებას, ენას ზურგი შეაქციესო, მაგათთან კავშირით ჩვენც მაგისთანა საქმე მოგვიყო.

ახლა ისე გავრცელებულა სომხობაში ხსენებული პარტიების მიმართულება და აზრი, რომ რომელ ბაზაზის შევირდს, ანუ სასწავლებლის სკამზე მჯდომარე მოსწავლესაც, უნდა ჰკითხოთ: შენ მშაკაკანი ხარ, თუ მელუკანი, ესე იგი ნორდარაკანი და არძაგაკანიო, მაშინათვე გეტყვით: ნორდარაკანი ვარ, ანუ მშაკაკანიო.

აი, ამითი აიხსნება უკანასკნელი ქალაქის არჩევანების ამბავი. „მელუ ჰაიასტანის“ მიმყოფები, რომელთა რიცხვი უმრავლესობა გამომჩნდა ტფილისის ამომრჩეველებში, ქართველებთან ერთობის წინააღმდეგნი იყვენ, მაშინ როდესაც „მშაკის“ მიმყოფი ახალგაზრდა სულ ქართველებთან ერთობის მომხრენი იყვენ. უნდა ეთქვას, რომ ეს უკანასკნელი პარტია თან-და-თან იზრდება და ვრცელდება ისინი ამბობენ, რომ ჩვენ უქართველობით არ ვარვივართ. მელუკანები, ნორდარაკანები და არძაგაქაკანები ერთად შეადგენენ „დღორკოვი“ ნომრების პარტიას, ხოლო მშაკაკანები, მურჭაკანები და ტარასაკანები ახალთაობის პარტიას, რომელთაც ჰსურთ ქართველებთან ერთად მოქმედება.

დ. ტერ-დავითიანი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისი.

ბანსხალეპანი

გამოვიდა და ისეიდება

ბურბენ რაინდი

დასკლასა
ქუთაისის ახანავლობის გამოცემა
უასი მამსი შაური

ფელიისსა და ქუთაისის

და ყოველგან, სადაც კი ქართული წიგნები იშოვება
ისეიდება

სალაქური

სასამეღლო ლექსება აგაკისა
სამ შაურად

აკლდეები

ქრასტანაბას ზარგელ საგაგნება ცხოვრების ამბავი
ათი შაურად

რაც უკანასკნელის წიგნების გასაღებით ნაღი მოგება დარჩება, ის ფული გამოცემლის სურვილისამებრ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ვადაცემა.

საბალახნო წარმოება

„როკვი“

მისილ სტეფანეს მის ბეთანიშვილისა
ქ. ბათუმში.

ამ ბაღში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის და სახლის მოსართავი მცენარეები. აგრეთვე ისეიდება იმათი ნერგები და ყვავილების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავაა, ამისგამო ბეთანიშვილის ბაღში მოჰყავთ და უფლიან ძვირფას ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის ვრილ ჰაერში არ ხარობენ და მსურველი შეუძლიანთ მათ გემოვნებისამებრ მოიპოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოთახის თბილ ჰაერში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბაღში არის ამ ყამად ორასი ჩაისი ვარდისა, ბურბონისა, რემონტატივისა და სხვა ნაირი ვარდების ნერგები. ხეხილის ნერგები საუკეთესო რუსეთის ჭევერობის გვარისა, ორისა და სამის წლისა, ფიჭვეული და ლიბანოს კედრის მგზავსი ხეების ნერგები; ჩირვეული მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუდამ მწიწანობენ, ანუ რომელთაც ზამთრობით ფოთლოი სცივიათ.

სია ამ მცენარებისა დაბარებისათანავე უფასოდ იგზავნება.